პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 აპრილი პარასკევი 1974 წელი 2. კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 80 (15892)

ᲔᲬᲙᲘᲪᲔ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

1974 — ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ, ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ!

ᲘᲨᲠᲝᲛᲝᲗ და ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲮᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘᲡ დამკვიდრებისათვის, მაღალი კულტურისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის... აი სიტყვები, რომლებიც ძირითადად გამოხატავენ ამ ერთ წელზე მეტი ხნის წინათ წამოწყებული დიდი პატრიოტული მოძრაობის მთავარ აზრს, შინაარსს.

მაშინ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო და ხაკიციო ქარხნების კოლექტივები გამოვიდნენ შესანიშნავი ინიციატივით — დავამყაროთ მაღალი სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი. ეს პატრიოტული წამოწყება დასაბამი გახდა იმ დიდი მოძრაობისა, რაც ჩვენი რესპუბლიკის სოფლის და ქალაქის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გააჩაღეს კარგი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად, სოციალისტური საზოგადოებისათვის უცბო მოვლენების — მუქთახორობის, სპეკულანტობის, ზარმაცობის, ხულიგნობის, შრომის და სიმშვიდის დარღვევების აღსაკვეთად.

ეს მოძრაობა ხალხის წიაღიდან წამოვიდა და მას აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს პარტიულმა ორგანოებიმ, თაოსნობას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა საქართველოში, თითქმის ყველა სოფელში. ყველა შრომითს კოლექტივში იმართებოდა კრებები, სახოფლო ყრილობები, რომლებზეც გადადებულ ვალდებულებებს კისრულობდნენ ამ შესანიშნავი სახალხო საქმის ხორცშესხმისათვის.

და მართლაც გაჩადა უკომპრომისო ბრძოლა ჩვენი საზოგადოების ყოველგვარი ანტიპოდების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ ფრიგო შედეგი როდი გამოიღო, ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი რამ მოგვარდა. რამდენი უქნარა და სპეკულანტი შეაჩვენეს და შეარცხვინეს ჩვენმა მშრომელებმა. მრავალმა უსაქმურმა და მოხეტიალემ იგრძნო თავის თავზე ხალხის ჯელისწყრომის ძალა და პირი იბრუნა სასიკეთო შრომისაკენ. მარტო ის რად ღირს, რომ მუქთახორებსა და მშრომელი ხალხის შემარცხვენელებს — გადაყიდველებს ბაუფუშაოთ რესპუბლიკის გარეთ სასპეციალიოდ წასვლის მადა ეს სურვილი, თუმცა ასეთი მოვლენები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კარგი იყო, პირველ ხანების შემარცხება მოსაწონი, მისაბაძი და უაღრესად სასარგებლო გამოდგა. მაგრამ პირველი ცეცხლი და გაქანება თანდათან განელდა და ბევრგან დავიწყეს კიდეც ამ შესანიშნავი ინიციატივით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ზრუნვა და ბრძოლა. ამის შედეგად ზოგან იმატა დანშაულობამ, ნაკლები ყურადღება ექცევა იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც ასე საზეიმოდ აკისრეს სახოფლო ყრილობებზე, კოლექტივების კრებებზე. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ პატრიოტული წამოწყების ერთი წლის თავზე, მიმდინარე წლის დასაწყისში ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში, სოფელსა და დასახლებულ პუნქტში მეტად არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა — დანშაულობათა და მართლწესრიგის დარღვევათა რიცხვი კვლავ გაიზარდა. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგალითად, ქალაქებში ფოთში, ჭიათურაში, აგრეთვე გურჯაანის, სამტრედიის, საჩხერის, წულუკიძის და ზოგიერთი სხვა რაიონში.

განა ეს იმაზე არ მეტყველებს, რომ ადგილებზე არ მიმდინარეობს ჯეროვანი მეთაობა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის? პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა ორგანიზაციებმა, დეპუტატებმა აქტივმა შეანელეს ბრძოლა ისეთი მოვლენების აღმოფხვრისათვის, ისეთი პირების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს მშრომელებს შრომაში, მუქთახორობენ, უსაქმურობენ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას გაურბიან. შარშან გორის რაიონში 400-ზე მეტ ახალგაზრდას მონაწილეობა არ მიუღია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ზოგ სოფელში წესრიგის დარღვევის ფაქტები იყო. ეს იმ დროს ხდება, როცა ერთ-ერთი ინიციატორი — ტყვიაველები ამავე რაიონში ცხოვრობენ და შრომობენ. სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში ნამდვილად რომ მივიწყებული იყო სოფლის ყრილობებზე ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის ზრუნვა. ამიტომაც აქ მომრავლდნენ მუქთახორები, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი. ბევრი დარღვევაა თელავის ზოგიერთ სოფელშიც.

პარტიას, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორც სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, მხედველობაში აქვს დისციპლინა, რომელსაც საფუძვლად უდევს არა შიში, არა მკაცრი ადმინისტრირების მეთოდი, არამედ ადამიანთა მაღალი შეგნებულობა და პასუხისმგებლობა. ამასთანავე შეუწყნარებელია ისეთი გამოვლინებანი, როგორიც არის ლიბერალიზმი, შემრიგებლობა სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებისადმი.

ბეშმარიტად, დიდებულად არის ნათქვამი. შეუწყნარებელია ისეთი მოქმედება, როცა ვივიწყებთ საჯაროდ და საზეიმოდ ნათქვამს, მიცემულ სიტყვას, ადარ ვაკეთებთ იმას, რაც განამტკიცებს დისციპლინას, აღმოფხვრის დანაშაულთა და დარღვევათა ფაქტებს. ხუცუბნელთა, ტყვიაველთა და თბილისის მოწინავე საწარმოთა შეხანშნავი თაოსნობა ერთდროული კამპანია როდია. იგი წლების მანძილზე საბრძოლო და საზრუნავი საქმეა, ხანგრძლივი სამოქმედო პროგრამაა.

სწორედ ამიტომ პარტიის რაიკომები, რაიხაბჭოების აღმასკომები ადმინისტრაციული ორგანოები ყოველნაირად უნდა ეხმარებოდნენ სოფლისა და ქალაქის მშრომელებს მტკიცე და მაღალი შრომითი დისციპლინის დამყარებაში. თუ მუქთახორებთან და სპეკულანტებთან სოფელმა ვერაფერი გააწყო, საჭირო იქნება მათ მიმართ ისეთი ხანქციების, უფრო მკაცრი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც სამუდამოდ დაუკარგავს ყველა ჯურის პარაზიტებსა და იოლი ხარფის მოყვარულებს მშრომელის მარჯვენით შექმნილი დოვლათის მიტაცების სურვილს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი მოვლენების აღმოფხვრას, როცა ესა თუ ის მოქალაქე არაფერს აკეთებს საზოგადოებისათვის. მაგრამ გამრჯე ადამიანის თანაბრად ხარგებლობს ყველა სიკეთით, კანონით გათვალისწინებული ყველა პრივილეგიით.

მიწა უნდა იწოდეს იმათ ფეხქვეშ, ვისაც ხურს იცხოვროს უპატიოსნოდ და ჩვენი გამრჯე ადამიანების ხარჯზე!

პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, რაიხაბჭოების აღმასკომების, დეპუტატების, სახალხო კონტროლის ორგანოების გადაუდებელი საქმე ის არის, რომ აქტივის გამოყენებით სისტემატურად ამოწმებდნენ, განიხილავდნენ და მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ სრულდება დაპირებები, ვალდებულებები, რაც მასების წინაშე საჯაროდ იქნა აღებული. ფარატინა ქაღალდზე დაწერილი ხომ არ დარჩა ფრთაშესხმული სიტყვები, რომლებიც ინიციატორთა მხარდასაჭერად იყო ნათქვამი და დიდი საქმეებისათვის იყო გამიზნული?

სიმართლე უნდა ითქვას, რომ სოფლების ყრილობებზე, ხაწარმოთა შრომის კოლექტივების კრებებზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. ამ დიდ საქმეში კომუნისტები უნდა იყონ მამაცნი და პრინციპულნი, მეთაურნი და ხელმძღვანელნი. მთელი ფრონტით, მთელი მგზნებარებითა და შეტევით უნდა წარიმართოს ბრძოლა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მაღალი შრომითი დისციპლინის დამყარებისათვის.

ᲥᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲒᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲘᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ, ᲛᲣᲨᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ. ᲣᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ, ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **იანოშ კადარმა**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პალ ლოშონციმ** და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ენო ფო�მა** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნის** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინს** გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და მთავრობის, უნგრეთის მშრომელი ხალხის ან პირადად თავიანთი სახელით მადლობას უძღვნიან მიღოცვისა და საიუბილეო სურვილებისათვის უნგრეთის განთავისუფლების 29-ე წლისთავის გამო.

საბჭოთა არმიის ისტორიული გამარჯვების შედეგად, აღნიშნულია დეპეშაში, ჩვენი ქვეყანა 29 წლის წინათ განთავისუფლდა ჰიტლერულ-ფაშისტური ოკუპაციისა და ხორტისტული რეჟიმის 25 წლის ბატონობისაგან. უნგრელ ხალხს შეეძინა შესაძლებლობა თვითონ განეგო თავისი ბედი და მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო წინსვლა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

ამჟამად უნგრელი ხალხი შრომობს იმისათვის, რომ შეასრულოს პარტიის X ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, აშენოს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ საქმეში ჩვენ დღეგნიდან ვგრძნობთ საბჭოთა ქვეშირის უანგარო, ძმურ დახმარებას, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში, სოციალისტურ მონაპოვართა დაცვაში, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობაში ჩვენი მიღწევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორია. ჩვენი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის მოდმეი განმტკიცება ჩვენი საშმლოს დამოუკიდებლობისა და შემდგომი სოციალისტური განვითარების საწინდარია.

ამ წლისთავის გამო, რომელსაც ისოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისათვის, ნათქვამია დეპეშაში, პატივისცემისა და ძმური მეგობრობის გრძნობებით მივესალმებით საბჭოთა ქვეშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ ქვეშირის უმაღლეს საბჭოს და მინისტრთა საბჭოს, მთელ საბჭოთა ხალხს. გისურვებთ თქვენ და თქვენი სახით მოძმე საბჭოთა ხალხს ახალ დიდ წარმატებებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, კომუნიზმის მშენებლობაში, საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

(საკრესი).

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲗᲐᲜ

8 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ სსრ ქვეშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო პაკისტანის ელჩი საბჭოთა ქავშირში ხ. ჰ. დეჰლავი და ესაუბრა მას, საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ელჩმა ა. ნ. კოსიგინს გადასცა პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ზ. ა. ბუტოს წერილი.

საუბარს დაესწრო სსრ ქვეშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აზიის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. პ. სტეპაკოვი.

ᲛᲔᲖᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მეაბრეშუმეობის მდგომარეობის კრიტიკულ განხილვასა და სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის მკვეთრი აღმავლობის ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავებას მიეძღვნა მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვაიმართა.

თათბირს დაესწრნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები. სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოთა უფროსები, მეთაური პარკსაშრომთა, საგრანაფო ქარხნების, სასელეკციო სადგურებისა და თუთის სანერგეთა დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების დირექტორები, მოწონაკე მეაბრეშუმეები, მეცნიერები და სპეციალისტები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები.

რესპუბლიკის მეაბრეშუმეობის მდგომარეობისა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აბრეშუმის პარკის წარმოების მკვეთრი გადიდების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. გელდიაშვილმა.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსმა **ა. არეშიძემ**, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. თოდუამ**, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორმა, მეთუთეობის კათედრის გამგემ **ზ. ზვიადაძემ**, ახმეტის რაიონის სოფელ ჭისტაურის წარჩინებულმა მეაბრეშუმემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა **ო. აივაზაშვილმა**, ბახტრამის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **მ. ორაგველიძემ**, მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა **ლ. უანჩაველმა**, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სახელმწიფო სანერგე მეურნეობათა ტრესტის დირექტორმა **ნ. ჩხოლარიამ**, მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა **ვ. გამცემლიძემ**, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლ. მარშანიამ**, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **დ. თებიძემ**, პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ბახილაშვილმა.**

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. შეკარდნაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **ე. ჯაფარიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ო. ვარძელაშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე **რ. კონცელიძე.**

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება. (საქინფორმი).

ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

□

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲬᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ **Ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსმა **ა. არეშიძემ**, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. თოდუამ**, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორმა, მეთუთეობის კათედრის გამგემ **ზ. ზვიადაძემ**, ახმეტის რაიონის სოფელ ჭისტაურის წარჩინებულმა მეაბრეშუმემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა **ო. აივაზაშვილმა**, ბახტრამის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **მ. ორაგველიძემ**, მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა **ლ. უანჩაველმა**, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სახელმწიფო სანერგე მეურნეობათა ტრესტის დირექტორმა **ნ. ჩხოლარიამ**, მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა **ვ. გამცემლიძემ**, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლ. მარშანიამ**, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **დ. თებიძემ**, პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ბახილაშვილმა.**

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. შეკარდნაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **ე. ჯაფარიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ო. ვარძელაშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე **რ. კონცელიძე.**

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება. (საქინფორმი).

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲙᲘᲪᲔᲡ

ᲡᲘᲮᲣᲛᲘ. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია „სოხუმელსაწყოს“ ქარხნის ამწყობი ლ. ა. ცუნაძე — „სოხუმელსაწყოს“ ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აჭარის ასს რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი ძ. ბ. მოდებაძე — ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ᲮᲘᲜᲙᲐᲚᲘ. სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აჭარის ასს რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი ძ. ბ. მოდებაძე — ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ᲮᲘᲜᲙᲐᲚᲘ. სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ძ. ა. ბაზაევი — სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოსაგან. (საქინფორმი).

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲔᲑᲨᲘ

ᲓᲦᲘᲗᲘ-ᲓᲦᲔ ფართოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. რესპუბლიკის საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, ყველგან მიმდინარეობს ხალხმრავალი კრებები, რომლებიც ეძღვნება ჩვენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობა დასახელებას. იმათ შორის, ვისი დასახელებაც გადაწყვიტეს კრების მონაწილეებმა კომისიების შემადგენლობაში, არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი — საქმიანი, ენერგიული მუშაკები, რომლებსაც ავტორიტეტი და პატივისცემა აქვთ მოპოვებული.

ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი ნიშანია მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა, მათი სწრაფვა აღნიშნონ ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ახალი წარმატებებით.

ხალხმრავალი კრება გამართეს თბილისის № 1 წისქვილკომბინატში მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა. კრება მიეძღვნა წარმომადგენლის დასახელებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის კალინინის № 677 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ერთხმად მიიღეს დადგენილება — ამ ოლქის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არმაინის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საწარმოს პირველადი ორგანიზაციისაგან დასახელონ კომბინატის მუშა **ნ. ვ. გელენიძე.**

ქარხანა „თბილისელსაწყოს“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის № 163 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახლონ საწარმოს მოწონაკე მუშა **ნ. დ. ნარგიზაშვილი.**

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მოწონაკე მკერავი **ლ. ვ. ათაბეგიანი** დასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ოქტომბრის № 164 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თბილისის ავჭალის კომბინატ „ვანთიადის“ პირველადმა ორგანიზაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის № 163 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასასახელოდ კომბინატის მოწონაკე მუშა **ლ. თ. გოგელიანი.**

მარნეულის რაიონის ალგეთის სპეციალიზებული მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების „ბრუსთავის № 688 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასასახელოს ამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. დ. გახანოვი.** (საქინფორმი).

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲙᲘᲪᲔᲡ

ᲡᲘᲮᲣᲛᲘ. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია „სოხუმელსაწყოს“ ქარხნის ამწყობი ლ. ა. ცუნაძე — „სოხუმელსაწყოს“ ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აჭარის ასს რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი ძ. ბ. მოდებაძე — ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲔᲑᲘ

ᲓᲦᲘᲗᲘ-ᲓᲦᲔ ფართოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. რესპუბლიკის საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, ყველგან მიმდინარეობს ხალხმრავალი კრებები, რომლებიც ეძღვნება ჩვენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობა დასახელებას. იმათ შორის, ვისი დასახელებაც გადაწყვიტეს კრების მონაწილეებმა კომისიების შემადგენლობაში, არიან მრეწველობისა

1974-ის შესრულების შემოწმების ფილი

პარტიული ცხოვრება

პარტიული კონფერენციის შემდეგ

სიტყვა — ცხოვრებაში!

საკითხთა წრე, რომელიც საქმის წინაა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე განსახილველად დააყენეს, მოიცავდა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის 30-ე კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში დატარებულ ღონისძიებებს.

პლენუმმა ორი საკითხი განიხილა: „ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და „საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის 30-ე კონფერენციის რეზოლუციის, კონფერენციაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ხაბეიშვილი. საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მწვავედ, მაგრამ სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, რის გამო საქალაქო კომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო კვლავ დაბრუნებოდა ამ საკითხს.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილე ამხანაგებმა — ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა გ. სანიკიძემ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა რ. დოლონაძემ, საავტომობილო ქარხნის ამწყობ-ზეინკალმა ი. ჯოფაძემ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ბ. თხილაკამ და სხვებმა აღნიშნეს, გასული წელს ზოგი რამ გაკეთდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესებლად. ერთგვარად გაქტიურდა ამ სფეროს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა: გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონელბრუნვა და 1973 წლის მან შეადგინა 744 მანეთი, 179 მანეთით მეტი საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით. მიმდინარე წლის განვლილ ორ თვეში ვაჭრობის სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანიზაციებმა საქონლბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მაგრამ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოა. პირველ რიგში ის, რომ ძალზე ჩამორჩა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, დადგენილი ნორმის მიხედვით ამჟამად ქალაქს ყოველ 1.000 მცხოვრებზე აქვია ცხრა ათასი კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობი და საერთო საქალაქო სარეგიონოლის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში — 3.500 დასაჯდომი ადგილი. ვაჭრობის სამმართველო ვერ უზრუნველყოფს გამოყოფილი თანხების რეგულირებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. მოუწესრიგებელია ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტების დისლოკაცია. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სადაც დაახლოებით 30 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტი ცხოვრობს, განლაგებულია 161 სავაჭრო საწარმო 5.111 კვადრატული მეტრი ფართობით და 32 საზოგადოებრივი კვების ობიექტი 1125 დასაჯდომი ადგილით. ე. ი. იგი შეადგენს სავაჭრო საწარმოების 54 პროცენტს, ხოლო საზოგადოებრივი კვების ობიექტების დასაჯდომის ადგილების 35 პროცენტს. ეს მაშინ, როცა ქალაქის ახალდასახლებული მიკრორაიონები, მუშათა დაბები და გარუბნები თითქმის მოკლებული არიან ყოველგვარ მომსახურებას.

პლენუმზე მწვავედ გააკრიტიკეს მომსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებანი. საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე 1973 წელს შეადგენდა 26,1 მანეთს, აქედან უშუალოდ მომსახურებისა — მხოლოდ 11,3 მანეთს, რაც მნიშვნელოვანად ჩამორჩება რაგორც საერთო რესპუბლიკურ, ისე საკავშირო მაჩვენებლებს. მომსახურების სამმართველოში გაერთიანებულია წვრილი საწარმოები, რის გამო შეუძლებელია სამუშაოთა მექანიზაცია, პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვა, მომსახურების კულტურის ამაღლება.

ნეგატიურმა მოვლენებმა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში წლების მანძილზე იყო გამეფებული, თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში

ღონის ამაღლებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის გაძტკიცებას, მინდობილი საქმის შესრულებისადმი მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ხუთწლედის მეორეხე განმსაზღვრელი წლის პირველი კვარტლის დავალება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს მრეწველობის მუშაკებმა, სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა ჯერ კიდევ 28 მარტისათვის 101,1 პროცენტით შესრულდა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის დავალება — 102,6 პროცენტით. წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებიც.

საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ ბიუროს ხუთი სხდომა გაიმართა. ამ სხდომებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონფერენციის მოთხოვნების შესაბამისად პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ პრინციპული შეფასება მისცა საკონსერვო ქარხანაში შექმნილ მდგომარეობას. უხარისხო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენებისათვის ქარხნის ყოფილ დირექტორს ს. შარაბიძეს, ყოფილ მთავარ ინჟინერს პ. ანდღულაძეს, ლაბორატორიის ყოფილ გამგეს გ. ჯიშიაშვილს მკაცრი პარტიული სასჯელები დაედოთ, მათ შესახებ მასალები გადაეცა საგამოძიებლო ორგანოებს. საქალაქო კომიტეტის ბიურომ ბინების შეცვლა-გადაფორმებაში დაშვებული უხეში დარღვევებისა და გაბოროტებულობის უკანონოდ შესახლებისათვის საბინაო სამმართველოს უფროსი ვ. კუპუხიძე მოხსნა თანამდებობიდან და დაადო მკაცრი პარტიული სასჯელი.

ამასთან ერთად გაკრიტიკებულ იქნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების სამმართველოს, ქალაქისა და კავშირგამბმლობის, № 2 რკინა-ბეტონის ქარხნის და მაუდის ფაბრიკის ხელმძღვანელები, რომლებიც სათანადოდ არ გამოეხმაურნენ კონფერენციაზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს.

ქალაქის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები (მაღაროსა და ავეჯის ფაბრიკები, ბამბეულის საწარმოო გაერთიანება და სხვ) ვერ მუშაობენ გამართულად და რიტმულად, ჯერ კიდევ არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი წარმოების ტემპების დაჩქარებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და დამტკიცა პარტიის საქალაქო კომიტეტის 1974 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

დ. გედენიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

რაიკომის ბიუროს იმსჯელა...

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). მეჩაიეობა რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და მას დიდი ყურადღება ექცევა. ამას წინათ პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების შესახებ ხაბუმის ლენინის, ქვედა ჩხოროწყუს, ნაკიანის, ახუთისა და დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

აღინიშნა, რომ ჩაის პლანტაციების დამუშავება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ საქმეში ჩაბმული არ არის შრომისუნარიან წევრთა მაქსიმალური რაოდენობა. შემოწმებისას ლეწურწუმეს კოლმეურნეობაში გადაბარული იყო პლანტაციების ნახევარი. ნაკიანის კოლმეურნეობაში მოუვლელია 10 ჰექტარი პლანტაცია. ზოგიერთი პლანტაცია არადამაკმაყოფილებლად არის დამუშავებული ახუთის კოლმეურნეობაში.

რაიკომის ბიურომ დახახა ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ანგარიშს აკვარგს წარმოგვიდგენ ხალძვანელი

ახალციხე. (საკ. კორ.). გაიმართა პარტიის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მმართველის მ. ხართიკაშვილის და სოფელ აწყვეტის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის გ. ივანაძის ანგარიში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ“.

პლენუმზე აღინიშნა, რომ „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა განყოფილებამ და აწყვეტის საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთეს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, მაგრამ ამასთანავე მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლი, რომელთა აღმოსაფხვრელად დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲔ

ორი თვის წინ ჩატარებულმა რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ გვიჩვენა, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება საანგარიშო პერიოდში მიპყრობილი იყო სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

ხუთწლედის განვლილი სამი წელი ცუდად არ დაუმთავრებიათ რაიონის მშრომელებს. განსაკუთრებით მაღალ სამეურნეო მაჩვენებლებს მიეაღწიეთ 1973 წელს. გადამეტებით შესრულდა მსხვილფეხა პირუტყვის, მათ შორის ძროხის, ავრეთვე ღორის, ფრინველის, თხის სულადობისა და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

კარგი სამეურნეო მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი რაიონის მევენახეებმა. მათი ნაყოფიერი შრომის შედეგია ის, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე პირველად მიეყიდა სახელმწიფოს ასე დიდი რაოდენობა — 3.670 ტონა ყურძენი, მაშინ როცა გეგმა 3.400 ტონის მიყიდვას ითვალისწინებდა. უფრო მაღალ შედეგებს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და მევენახეებმა. სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალებანი დიდი გადამეტებით გაანაღდეს ცაგერის, ორბელის, ჩხუტელის, ლაჯანის, წილამიერისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

თერჯოლის რაიონის თუზის კოლმეურნეობის მევენახეთა თაოსნობის, ენახებში სიმეჩხრის მოსპობის, ახალი ვენახების გაშენებისა და ყურძნის მოსავლიანობის ზრდის თაობაზე რაიონში ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ ლაჯანის კოლმეურნეობის მევენახეები. საკითხი განხილულ იქნა ჯერ პარტიულ, შემდეგ კი კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, რის შედეგადაც ლაჯანელებმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

როცა მევენახეობაში არსებულ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ამ დარგის განვითარებაში იმის გამო, რომ სრულად ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს. სწორედ ამაზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ჩვენმა რაიონულმა პარტკონფერენციამ, კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი ყურძნის დაბალ მოსავალს იღებს. ვენახებში ძალზე დიდია სიმეჩხრე, კერძოდ, იგი რაიონში 18,5 პროცენტს შეადგენს, ე. ი. რაიონს ამ მიზეზით აკლია 128 ჰექტარი ვენახი.

შარშან სოფელ უსახელოს კოლმეურნეობაში ვენახის ცუდი მოვლის შედეგად საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 16 ცენტნერი ყურძენი, ზუბის კოლმეურნეობაში — 19, ოყურეშის კოლმეურნეობაში — 21 ცენტნერი.

გასული წელი ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს რაიონის მეხილეებმა, რის გამო მათ სანახევროდაც ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის საგეგმო დავალებანი. მართალია, შარშან ბაღები მეწლეობდა, მაგრამ მარტო ეს როდი იყო დაბალი მოსავლიანობის მიზეზი. კოლმეურნეობათა ერთმა ნაწილმა ცუდად მოუარა ბაღებს, არ შეატანა ორგანული და მინერალური სასუქები, სრულად არ შეწამლა შხამქიმიკატებით. ხეხილის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ძირითადად გვიმლის ხელს ის გარემოება, რომ კოლმეურნეობები არ მარაგდებიან შესასხურებელი აპარატებით. რამდენიმე წელია ვთხოულობთ ხეხილის შესაწამლ ტრაქტორზე მისაბმელ სასხურებელ მანქანებს, მაგრამ მათი მიღება დღემდე ვერ მოხერხდა.

პარტიული და სამეურნეო მუშაობის დიდი ნაკლია ის, რომ მეცხოველეობა რაიონის კვლავ ჩამორჩენილ, არარენტაბელურ დარგად ითვლება. ეს კი იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი არ ზრუნავს პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის, სუსტია მეცხოველეობის საკვები ბაზა. იმის გამო, რომ რაიონის არცერთ ფერმაში არ არის მოწყობილი მექანიზაცია, საკვების მოწოდება, წყალი, ნაკელის გატანა და სხვა შრომატევადი სამუშაოები კვლავ ხელით ხდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერჯერობით ამ მხრივ დიდი პრაქტიკული ნაბიჯები ვერ გადადგეს ვერც კოლმეურნეობათა გამგეობებმა და ვერც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. მეცხოველეობის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის აუცილებელი რაიონში შეიქმნას ხელოვნური დათესლვის სადგური, რაშიც დახმარება უნდა გაგვიწიოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

რაიონი განიცდის საძოვრების დიდ ნაკლებობას. ნაცვლად ნორმით დადგენილი 2 ჰექტარისა საშუალოდ ერთ სულ პირუტყვზე მოდის 0,7 ჰექტარი საძოვარი.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც გაითვალისწინეს ამ დარგის ჩამორჩენილობა, ახლა მნიშვნელოვან ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან. თებერვლის პირველ რიცხვებში შესწავლილ იქნა რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების მდგომარეობის საკითხი, რომელიც განხილულ იქნა რაიკომის ბიუროზე. არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით რაკომის ბიურომ მიიღო დადგენილება, რომელიც განხილულ იქნა ყველა პარტიულ ორგანიზაციაში.

ამას წინათ მეცხოველეობის განვითარების საკითხი გახდა რაკომის პლენუმის ფართო მსჯელობის საგანი. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევეხეოდე ზოგიერთ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტაც მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული.

საქვეყნოდ არის განთქმული ლეჩხუმური უსახელაური — წითელი ღვინის მომცემი ჯიში. მიუხედავად ამისა მან სათანადო გავრცელება მაინც ვერ ჰპოვა. იგი ძირითადად გავრცელებულია ლეჩხუმის სამ სოფელში. არის პერსპექტივა, რომ უსახელაურის მიკროზონაში სამი კოლმეურნეობის — ოყურეშის, ზუბისა და ისუნდრის ბაზაზე შეიქმნას უსახელაურის საბჭოთა მეურნეობა. ეს ფაქტი შესაძლებლობას მოგვცემს აღდგეს უნიკალური ქართული ჯიში — უსახელაური და მშრომელთა სუფრა დაამშვენოს ბუნებრივად ნახევრადტკბილმა სამარკო ღვინომ.

უკანასკნელ პერიოდში რაიონში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხიდების კეთილმოწყობა-რეკონსტრუქციის საქმეში. მიუხედავად ამისა, წყალტუბო-ცაგერისა და ალპანა-ცაგერის მიმართულებით არსებულ გზებზე შეუძლებელია ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობა. წყალტუბო-ცაგერის მიმართულებით შარშან დაგეგმილი იყო 2 კილომეტრი გზის რეკონსტრუქცია, რაც სანახევროდაც ვერ შესრულდა. წელს გეგმით გათვალისწინებულია რეკონსტრუქცია გაუკეთდეს 1 კილომეტრ გზას. ასეთი ტემპით ამ გზის რეკონსტრუქციას ხუთი ხუთწლედი მაინც დასჭირდება. ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროდ მიგვაჩნია რესპუბლიკის საავტომობილო გზათა სამინისტრომ გამოჰყოს სათანადო ტექნიკა და კაპიტალდაბანდებანი ამ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს გზის გეოფართობა-რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესრულებას წლიურად 10 კილომეტრზე მაინც.

ძალზე ცუდად დგას ქ. ცაგერში კომუნალური მომსახურების მდგომარეობა. კერძოდ, ქალაქი განიცდის საცხოვრებელი ბინების ნაკლებობას, რადგან აქ უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე არ აშენებულა არცერთი კომუნალური ბინა. ქალაქში არსებული სასტუმრო და წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამასთან აუცილებელია ქალაქში დაიწყოს კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები.

რაიონში მოუგვარებელია ექიმთა კადრებით სამედიცინო დაწესებულებათა დაკომპლექტების საქმე. დღეისათვის გვაკლია 25 ექიმი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე. მარტო ის ფაქტი, რომ ქ. ცაგერისა და მდინარე ცხენისწყლის ხეობის მშრომელებს მხოლოდ ერთი ექიმი-სტომატოლოგი ემსახურება, მეუთითებს სამედიცინო მომსახურების სერიოზულ ნაკლოვანებებზე. აუცილებელია რაიონული საავადმყოფოს რეკონსტრუქცია-გაფართოება, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

რაიონული პარტიული კონფერენციიდან გასული მოკლე ხნის მანძილზე რაიკომმა საფუძვლიანად გააანალიზა კომუნისტთა კრიტიკული გამოსვლები საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს, განიხილა რაიკომის ბიუროზე და დასახა პირველი რიგის მოქმედების გეგმა.

კონფერენციამდე რაიონში ბევრი იყო წვრილი, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები. მათი გამსხვილება, რაც ამ დღეებში დამთავრდა, საშუალებას მოგვცემს მარტო სამმართველო აპარატის შენახვაზე დავზოგოთ 30 ათას მანეთზე მეტი. ამასთან უფრო სწორად გამოვიყენოთ საგარეულები, რეზერვები, რათა ყველა კოლმეურნეობა რენტაბელურად გადავაქციოთ.

კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით სკკპ წესდების შესაბამისად ყველა პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც კომუნისტების რაოდენობა 50-ს აღემატება, შეიქმნა საბრიგადო და ფერმის პარტიული ორგანიზაციები. სულ შეიქმნა 64 საბრიგადო და მეცხოველეობის ფერმის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ეს ნაბიჯი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სწორად წარმართვას.

ახლა რაიონში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. დამთავრდა საავნახე ნიადაგის პლანტაჟი, რაც 30 ჰექტარზე შესრულდა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები ბაღ-ვენახებში.

აღსანიშნავია, რომ ახლა პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ გავლენას ახდენენ თავიანთი კოლექტივების საწარმოო ცხოვრებაზე. ერთი მაგალითი. ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესის“ პარტიული ორგანიზაცია 71 კომუნისტს აერთიანებს. ამათგან 50 უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული. კომუნისტები უკეთესად ავანგარდულ როლს ასრულებენ. კოლმეურნეობა მრავალი წელია წარმატებებით გვახარებს და არც ამჟამად ღალატობს ტრადიციას.

რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ რაიკომის ახალარჩეულ შემადგენლობას ბევრი სერიოზული განაწესი მისცა. მათი შესრულება ბევრად არის დამოკიდებული თვითეული პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე, ყოველი კომუნისტის აქტივობის ზრდაზე. ამიტომ მათდამი ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება კვლავაც იქნება პარტიის რაიკომის უყურადღების ცენტრში.

მ. გვიშიანი,

ხაჭართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ — ᲪᲮᲝᲪᲮᲐᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ!

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. (საკ. კორ.). მეჩაიეობა რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და მას დიდი ყურადღება ექცევა. ამას წინათ პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების შესახებ ხაბუმის ლენინის, ქვედა ჩხოროწყუს, ნაკიანის, ახუთისა და დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

აღინიშნა, რომ ჩაის პლანტაციების დამუშავება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ საქმეში ჩაბმული არ არის შრომისუნარიან წევრთა მაქსიმალური რაოდენობა. შემოწმებისას ლეწურწუმეს კოლმეურნეობაში გადაბარული იყო პლანტაციების ნახევარი. ნაკიანის კოლმეურნეობაში მოუვლელია 10 ჰექტარი პლანტაცია. ზოგიერთი პლანტაცია არადამაკმაყოფილებლად არის დამუშავებული ახუთის კოლმეურნეობაში.

რაიკომის ბიურომ დახახა ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ — ᲖᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚ ᲬᲔᲚᲡ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ საარქივო დაწესებულებათა ხელმძღვანელი და მეცნიერი მუშაკების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა 1973 წლის რესპუბლიკის არქივების მუშაობის შედეგებსა და მათ შემდგომ ამოცანებს.

მოხსენება „რესპუბლიკის არქივები ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს ახალი პასუხსაგები ამოცანების წინაშე“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსმა ვ. კაჭარავამ.

კონფერენციაზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. კოჭლავაშვილი, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი ვ. გურგენიძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოების უფროსები ა. ჯონუა და ნ. ნოდიდელი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. მეტრეველი, მთავარი საარქივო სამმართველოს განყოფილებათა უფროსები შ. გულუა და ნ. თედორაძე, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ო. ეგაძე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. პირადოვი, საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი ნ. რუსიშვილი, ჟურნალისტი ჰ. წერეთელი და სხვები.

კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. მალიტიკოვი.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

მან თქვა, რომ საარქივო საქმეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, მოითხოვს დიდ ყურადღებას, საჭიროა არქივებში არსებული დოკუმენტური ღირებულებანი ჩვენაყენოთ თანამედროვეობის სამსახურში, ილაპარაკა საარქივო მუშაკთა ამოცანებზე.

ამხ. ო. ჩერქეზიამ გააკრიტიკა რესპუბლიკის იუსტიციის, ჯანმრთელობის დაცვის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, უმაღლესი სასამართლო, პროკურატურა, რომლებიც არღვევენ რა არსებულ კანონებს, მთელი რიგი წლების მანძილზე თავს არიდებენ იმას, რომ თავიანთი დოკუმენტები ჩააბარონ სახელმწიფოს შესანახისათვის.

ილაპარაკა რა რესპუბლიკაში საარქივო დაწესებულებათა მშენებლობის ფართო გაქანებაზე, ორატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მთავართბილმშენის“ № 18 ტრესტის მიზნით ნელი ტემპით შენდება მთავარი საარქივო სამმართველოს შენობა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები, რომელთა მიზანია რესპუბლიკის საარქივო საქმის დარგში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. (საქინფორმი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲝ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ ᲔᲗᲝᲛᲑᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ.

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲓᲐ 18.500 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲛᲐ 256 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ.

**1973 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

მსოფლიო დღეს

საკდესი და უცხოეთის საგაზეთოები იტყობინებიან

ბიბლიოთეკა

თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!

სპროტესტო მოძრაობა ძლიერდება

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში ხულ უფრო ფართოდ ჩაღდება საპროტესტო ტალღის სახტიკი ტერორის, ფაშისტური ხის ბრძოლის მხარდახაჭერად.

ჩიკაგოში მუშაობა დაამთავრა ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა „ორი დღის ეროვნულმა კონფერენციამ, რომელმაც დასახა სამხედრო დიქტატურისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ჩილელ პატრიოტთა და დემოკრატიათა ბრძოლის მხარდაჭერის პროგრამა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყნის სხვადასხვა პროფკავშირულა, ომისსაწინააღმდეგო, რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების 170 დელეგატმა.

კონფერენციის მონაწილეებმა სასტიკად დაგმეს ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულობანი, მოითხოვეს შეწყვიტონ ტერორი და რეპრესიები სახალხო ერთიანობის მთავრობის მომხრეთა წინააღმდეგ, ბოლო მოუღონ მასობრივ სიკვდილით დასჯას, პოლიტიკური პატიმრების წამებასა და აბუჩად აგდებას, დაუყოვნებლივ დახურონ საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც არაადამიანურ პირობებში ჰყავთ ჩილეს თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება მოეწყოს შეერთებულ შტატებში ფართო კამპანია, რათა აიძულონ ამერიკის კონგრესი შეუწყვიტოს დახმარება „ფაშისტურ ხუნტას, აგრეთვე თავისაფარი მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩილელ პატრიოტებს, რომლებსაც მხედრონი დევნის.

კონფერენციის გადაწყვეტილებით, უახლოეს დროში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყობა საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები ხუნტის რეპრესიების წინააღმდეგ.

მეხიკო, 4 აპრილი. (საკდესი). მექსიკის 130-მდე პოლიტიკურმა, პროფკავშირულმა, საზოგადო და კულტურულმა მოღვაწემ, მათ შორის ეროვნული კონგრესის დეპუტატებმა და ცნობილმა მწერლებმა, გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიც გულისწყრომით გმობენ რეპრესიებს სახალხო ერთიანობის მომხრეთა წინააღმდეგ ჩილეში, მოითხოვენ, რომ სამხედრო ხუნტამ შეწყვიტოს სისხლიანი ტერორი. ხელში ჩაიგდო რა ძალაუფლება ქვეყანაში და მოკლა კონსტიტუციური პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე, აღნიშნულია წერილში, ხუნტა განაგრძობს რეპრესიებს დემოკრატების წინააღმდეგ.

„მექსიკელი ხალხის სახელით, — ხაზს უსვამენ წერილის ავტორები, — ჩვენ გადაჭრით ვგმობთ დანაშაულობებს ადამიანურობის წინააღმდეგ ჩილეში, რასაც უოველდღიურად სჩადის სამხედრო ხუნტა. მოვუწოდებთ ქვეყნის საზოგადოებრიობას გაგზავნოს პროტესტები ხუნტის მხეცობის წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიაში, რათა ყველამ გაიგოს მექსიკელი ხალხის ხმა, რომელიც მოითხოვს რეაქციონერების მიერ ჩილეში გაჩაღებულ სისხლისღვრის შეწყვეტას“.

ამბები • ფაქტები

ვაშინგტონი

სენატორი ე. კენედი აპრიტიკებს ლონდონი

უკმაყოფილება ძლიერდება

ძველი პოლიტიკა, ძველი ურთიერთობა

ვაშინგტონი, 4 აპრილი. (საკდესი). სენატორმა ე. კენედიმ გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების სავიეტნამო კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი საოგონის რეჟიმს, რომელიც ხელს უშლის ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ პარიზის შეთანხმების განხორციელებას.

„პარიზის შეთანხმების მთავრობისეული ინტერპრეტაცია, — თქვა სენატორმა, — მოწმობს, რომ განაგრძობენ ძველ პოლიტიკას და ძველ ურთიერთობას, თითქოსდა არაფერი არ შეცვლილიყოს სამხრეთ ვიეტნამში“. როგორც სენატორმა განმარტა, ეს ინფორმაცია შეუტყვია წერილიდან, რომელშიც გაშუქებულია ამერიკის პოლიტიკა. წერილი მარტის დამლევს მიუღია სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერისგან თავის წერილის პასუხად. ე. კენედიმ აღნიშნა, რომ ჰ. კისინჯერის წერილი „ინდოჩინეთის მიმართ ჩვენი ახლანდელი კურსის შემაშფოთებელი განმარტებაა“.

ცხადია. რომ მთავრობა ცდილობს საქმე ისეთნაირად წარმოადგინოს, თითქოს პარიზის შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებს აკისრებდეს „ახალ ვალდებულებებს სამხრეთ ვიეტნამის წინაშე“, თქვა ე. კენედიმ.

ასეთი კურსი, ხაზი გაუსვა, ე. კენედიმ, „აქარწყლებს ამერიკელთა უმრავლესობის იმ იმედებს, რომ პარიზის შეთანხმება და ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა სამშობლოში დაბრუნება, ბოლოს და ბოლოს, მოასწავებს ინდოჩინეთში ამერიკის მასირებული ჩარევის შეწყვეტას, რომ ჩვენ ხელი ავიღეთ ამ რაიონის პოლიტიკურ და სამხედრო კონფლიქტებში პირდაპირ ჩარევაზე და ბოლო მოვუღეთ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობასთან ურთიერთობას პრინციპით პატრონი-კლიენტი“.

პირველი თათბირი

მეხიკო, 4 აპრილი. (საკდესი). აქ გაიხსნა ლათინური ამერიკის ქვეყნების პირველი თათბირი საგარეო ვაჭრობის განვითარების საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობენ ლათინური ამერიკის 22 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის კუბის დელეგაცია.

თითბირის გახსნაზე გამოვიდა მექსიკის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ხოსე კამპილიო სანსნი, რომელმაც ამ რაიონის ქვეყნებს მოუწოდა თავიანთი ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისა და განვითარების მიზნით იბრძოლონ თანასწორუფლებიანი საეკონომო ურთიერთობის დამყარებისათვის სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებულ სახელმწიფოებთან. მან აგრეთვე თქვა, რომ საჭიროა გააქტიურდეს ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაციის პროცესი.

უთანხმოებები მწეკავდება

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი). ინგლისის საგარეო და საოსტა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა ჯ. კალაგენმა პარლამენტში გააკეთა განცხადება ლუქსემბურგში დამთავრებული „საერთო ბაზრის“ მინისტრების სხდომის ხელის შედეგების შესახებ. როგორც უკვე ვიუწყეთ, ამ ხელიაზე ინგლისმა დასცა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში თავისი მონაწილეობის პირობების გადახედვის საკითხი.

კალაგენმა ხინანული გამოთქვა უთანხმოებების გამო, რომლებიც გამოვლინდა საერთო ბაზრის წევრი ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხის განხილვისას, კერძოდ, მათი პოლიტიკური კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობის შესახებ ერთა გაზიარების დროს.

პარიზი, 4 აპრილი. (საკდესი). „არა მგონია, რომ დიდ ბრიტანეთის გასვლა „საერთო ბაზრიდან“ ხელფიხეს შეუქმნიდეს საფრანგეთს. ეს არის საფრთხე ინგლისისთვის“, — განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ფობერმა „ევროპა-1“ რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში. მან აღნიშნა, რომ საფრანგეთი მზად არის ხელი შეუწყოს ინგლისის „შეგუებას“ „საერთო ბაზართან“.

საფრანგეთის მინისტრმა უარყო მტკიცება, რომ დასავლეთ ევროპას არ შეუძლია იარსებოს ამერიკის შეერთებული შტატების დაცვისა და მეურვეობის გარეშე.

ბონი, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების სხვბეთ ლუქსემბურგის სესიის შედეგები.

როგორც მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, სხდომაზე ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა „ევროპის ეკონომიური გაერთიანების კონსოლიდაციისა და განმტკიცების ღონისძიებანი“.

ბრაზილია

ჯუნგლების ავბედითი გზები

ბრაზილია ერთ-ერთია იმ მცირეოდენ ქვეყანათა შორის, რომლებსაც უზარმაზარი დაუსახლებელი სივრცეები აქვთ. თავისი ფართობით (8,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი) მას მეხუთე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ნაკლებია მხოლოდ სსრ კავშირსა, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ამ ქვეყანაში არ არის არც უკიდეგანო უდაბნოები, არც დიდი მთაგრეხილები, არც შინაგანი ზღვები. ამიტომ ბრაზილიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მთის ქვეყანას ადამიანის საცხოვრებლად ვარგისი და სოფლის მეურნეობაში გამოსადეგი მიწების ფართობით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ბრაზილიას შეიძლო გამოეკვება დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედი, თუმცა მისი 100-მილიონიანი მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი შიმშილობს.

მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი უჭირავს ამაზონიის ტენიან ჯუნგლებს. იქ ოზრდება 8 ათასზე მეტი სახეობის ხე და თავმოყრილია დედამიწის ტყის მასივის მესამედი. ზოგიერთი ხის მერქანი სიმაგრით ლითონს არ ჩამოუვარდება. მისგან ამშადებენ საკისარებს, რომლებსაც შაქრის ლერწმის ადასამუშავებელ მრავალტონიან მანქანებზე იყენებენ. იგი კილოგრამობით იყიდება და არაჩვეულებრივად ძვირად ფასობს. სხვა ხეების ღერღები ძლიერ რბილია, დანა ადვილად ჩადის შიგ სახელურამდე ძალის დაუტანებლად. გამოანგარიშებულია, რომ ამაზონიის ჯუნგლების ხეებიდან შეიძლება აშენდეს სახლი პლანეტის თვითეული მცხოვრებისათვის.

მაგრამ ამაზონიის ტყეთა სიუხვე ვერ შეედრება იმ სიმდიდრეს, რომელიც, მეცნიერთა მტკიცებით, დაფარულია მის წიაღში. სპეციალისტთა აზრით, იქ დიდია ნავთობის, რკინისა და სპილენძის მადნის, ტყვიის, კალის, ურანის, ოქროსი და ალმასების მარაგი.

ჯუნგლები საუკუნეებით აღიზიანებდნენ თავგადასავლის მაძიებელთა წარმოსახვას, იზიდავდნენ ავანტიურისტებს, გამორჩენის მოყვარულთ. არავინ არ უწყის, რამდენი კაცი დაიღუპა ალმასებისა და ოქროს ძებნაში.

ბრაზილიის ხელისუფალნი დიდხანს არ დეამდნენ სერიოზულ ნაბიჯებს ამაზონიის ასათვისებლად. მაგრამ ქვეყნის სასრანო ინტერესები თავის კანონებს უკარნახებენ.

ათიოდე წლის წინათ შემუშავებულ იქნა პროექტი საავტომობილო გზების ქსელის მშენებლობისა, რომლებიც ჯუნგლების რაიონებს დაკავშირებენ სამრეწველო ქალაქებთან. უკვე ახლა წარმოებს მთელი რიგი მაგისტრალების მშენებლობა. ერთი მათგანი გადაჭრის ჯუნგლებს ამაზონის მდინარის სანტარენის ნავსადგურიდან და შეუერთდება ამ ქვეყნის სამხრეთი და ცენტრალური ნაწილების საგზაო ქსელს. მეორე საავტომობილო გზა ბრაზილიის ცენტრს დაკავშირებს საფრანგეთის გვიანასთან. ამ გზის 700 კილომეტრზე მეტი ნაწილი ძნელად გასავლელ ჯუნგლებზე გაივლის.

1974 წლის წინ მუშებმა „ტრანსამაზონის“ მშენებლობა დაამთავრეს. ხუთი ათასი კილომეტრი სიგრძის მაგისტრალზე, რომელიც ატლანტიკის სანაპიროზე ქალაქ ჟუან-პესოადან იწყება და დასავლეთით მთავრდება ბოლივიისა და პერუს საზღვრების შესაყართან, პირველმა მანქანებმა გაიარეს.

ორი ათასზე მეტი მუშა და რამდენიმე საინჟინრო ბატალიონი ეწოდა შეუპოვარ ბრძოლას გაუვალი ჯუნგლების, მალარიის, შხამიანი მწერების წინააღმდეგ. მათი გზა გადიოდა საფლობ ჭაობებსა და გველებით სავსე წყალუხვ მდინარეებზე.

ამაზონიის ინდიელები არაერთხელ სეტყვასავით აყრიდნენ მათ მოშმახულ ისრებს, ერთხელ მშენებლებს შეატყობინეს, რომ მათზე მზადდებოდა კაცჭამია ინდიელთა თავდასხმა. მაგრამ კანიბალებმა ვერ გაბედეს იერიში მიეტანათ მოსულთა ფურგონებზე, რომელნიც უბოდიშოდ შეიჭრნენ მათს სამფლობელოებში, დაიფრთხეს და გარეკეს ნადირი, ბუდეთაზერების გრიალით და ნაჯახების კაკუნით შეაშფოთეს ჯუნგლების საუკუნოვანი ძილი. ინდიელებმა მათი ჯავრი ამოიყარეს კაუჩუკის ორ შემგროვებელზე, რომლებიც მშენებარე ავტოგზის ახლოს მუშაობდნენ.

ძნელად გასავლელ მწვანე ჯუნგლებში გზები რომ გადის, იქ იწყება მუშაობა ტყის ამოძირკვისა და მიწების მელიორაციისათვის. კოლონიზაციისა და აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის მუშები ეგრეთ წოდებულ აგროდასახლებებს აგებენ ყოველ 20 კილომეტრზე ავტომაგისტრალების ორივე მხარეს. ამაზონიაში დასახლების მსურველი ოჯახებისათვის სახელმწიფო შეიდავთიან პირობებში გამოჰყოფს სახლებსა და მიწის ნაკვეთებს. ნიადაგი ჯუნგლებში ნაყოფიერი აღმონდდა და თავისი ქიმიური შემადგენლობით არ ჩამოუვარდება პარანის შტატის საუკეთესო მიწებს, სადაც მოჰყავთ განთქმული ბრაზილიური ყავა.

უღმობელმა, ყოვლისშემმუსრავმა პროგრესმა ჯუნგლების სიღრმეში შეაღწია ინდიელთა ტომები. ბევრ ადგილას, სადაც გზებმა ინდიელთა დასახლებებში ან მათ ახლოს გაიარა, მშენებლებმა დაარღვიეს ამორეგენთა ცხოვრების საუკუნეობრივი წყობა, ასწავლეს მათ კაბასის (ბრაზილიური არყის) სმა და თამბაქოს წევა. ახლა მათგან ზოგიერთნი მთელი ოჯახებით მორიგეობენ გზებთან და გამვლელ მძღოლებს „ცივხლის წყალს“ ან გამბარუებელ წამალს (თამბაქოს) სთხოვენ.

ჯუნგლებში აღთქმული მხარე ვერც მოსულებმა ჰპოვეს. მოჯამაგირენი, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის გვალვიანი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან არის ჩამოსული, გაჭირვებით იტანენ ტენიანი ტროპიკული ტყეების ჰაერს. იღუპებიან შხამიანი მწერებისა და გველებისაგან დაკბენილნი, მალარიისა და სხვა ტროპიკული დაავადებებისაგან.

ინდიელებს არა სურთ გაუზიარონ მათ იმის საიდუმლოებანი, თუ როგორ ებრძოლონ მკაცრი ბუნების დამფუვაველ მოქმედებას, ჯუნგლების სიღრმეში ან სამარეში მიაქვთ ეს საიდუმლოებანი.

და კიდევ არა ერთი ათეული წელი გავა. სანამ ბრაზილიელ სპეციალისტთა გეგმები ამაზონის აუზის ათვისებისა განხორციელდება და ადამიანები შეძლებენ დაიმორჩილონ გაუვალი ჯუნგლები და გამოიყენონ მათი სიმდიდრენი.

ი. რუბლევსკი,
(საკდესი).

უკანა

კონტინენტიდან

- **მოწოდება ლეიბორისტული მთავრობისადმი**
- **კუბა ეხმარება კოლიტიკურ ემიგრანტებს**
- **იზრდება საწვავის ფასები.**

ლონდონი. ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის ხელმძღვანელებმა დასაქმების საკითხთა მინისტრთან მაიკლ ფუტთან შეხვედრის მსვლელობაში მოუწოდეს ლეიბორისტულ მთავრობას გააუქმოს კონსერვატორების მიერ მემოდებული ანტაპროფკავშირული კანონი „მრეწველობაში ურთიერთობის შესახებ“. მათ გამოთქვეს შეშფოთება ამ კანონის საფუძველზე შექმნილი „სამრეწველო ტრიბუნალის“ უკანასკნელი გადაწყვეტილების გამო, რომელმაც ბასულ კვირაში მანქანათსაშენებელი მრეწველობის მუშაკთა გაერთიანებულ პროფკავშირს მიუსაჯა 47 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯარიმის გადახდა „კონ-მეკის“ ფირმისათვის. ამ ფირმის ქარხნის მუშებმა მოაწყვეს გაფიცვა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაციამ უარი თქვა ეენო პროფკავშირის განყოფილება საწარმოში.

ალჟირი. აქ გაიხსნა ალჟირის ქალთა ეროვნული კავშირის მე-3 ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რეპუბლიკის ყველა პროვინციის 500-ზე მეტი დელეგატი. ყრილობას ესწრებიან საზღვარგარეთის მთელი რიგი დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰუარი ბუმედიენმ.

ადის-აბება. მუშაობა გააახლა ეთიოპიის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს 800 თანამშრომელმა, რომლებიც სამ კვირას იყვნენ გაფიცულნი. მუშავდა ქვეყნის ყველა აეროპორტის ფრენის კონტროლისა და კომუნიკაციების ყველა მიწისზედა სამსახური.

გაფიცულთა წარმომადგენლებმა და ფოსტის, ტელეგრაფისა და კომუნიკაციების მინისტრმა ასეფ აიენემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. გაფიცვის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, კერძოდ, ხელფასის მომატებას.

ბრაზილია. ნავთობის საკითხთა ეროვნული საბჭოს განკარგულებით ბრაზილიაში 35,6 პროცენტით გადიდდა ბენზინის, ნავთისა და სხვა ნავთობპროდუქტების ფასები. უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე მათი ღირებულება 78 პროცენტით გაიზარდა. (საკდესი).

ინდოეთი

ქალები... პოლიციელები

კერალის შტატის მთავარი ქალაქის ტრივანდრამის მცხოვრებნი კარგად იცნობენ პოლიციის მთავარი ინსპექტორის თანაშემწეს და პოლიციელების ქალთა ჯგუფის უფროსს ჩ. უმაიამალს. უყოლასათვის ცნობილია მისი განსაკუთრებული პატიოსნება და მიუკერძოებლობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. მას ყველა პატიოსანი ადამიანი სცემს პატივს. მისი ეშინიათ მემარჯვენე ორგანიზაციების წევრ ვიუბატონებს, რომლებიც ცდილობენ შულლი და კონფლიქტები გააღვივონ რელიგიურ-საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. მის გამგებლობაშია მყოფი პოლიციელი ქალები კონტრაბანდისტების რისხვას წარმოადგენენ.

ჩ. უმაიამალი ინდოეთში პირველი ქალია, დაჯილდოებული მედლით „ეეთილსინდისიერი სამსახურისათვის“, რომელიც მას რესპუბლიკის დღეს გადასცა ინდოეთის პრეზიდენტმა ვ. ვ. გირიმ. მას მთავრობის ეს მაღალი ჯილდო მიენიჭა მრავალი წლის შრომისათვის (ჩ. უმაიამალი პოლიციაში მუშაობს ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველეიგე წლებიდან), განსაკუთრებული პატიოსნების, მიუკერძოებლობისა და მამაცობისათვის.

პოლიციელის ფორმიანი ქალი ინდოეთში, და განსაკუთრებით კერალის შტატში, ახლა იშვიათი როდია. მარტო ჩ. უმაიამალის ხელმძღვანელობით რამდენიმე ათეული ქალი მსახურობს. მათი ნაწილი მუშაობს აეროპორტის საბაჟოში, სხვები — ტრანსპორტის პოლიციაში. ტრივანდრამში გახსნილია სპეციალური საპოლიციო განყოფილება. სადაც მხოლოდ ქალები მუშაობენ.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ შარშან ქალაქ კოუიკოდში (კერალის შტატი) ოფიციალურად გახსნა კიდევ ერთი ქალთა საპოლიციო განყოფილება, რომელშიც 12 ქალი მუშაობს. ინდოეთის მთავრობის მეთაურმა მაშინ მაღალი შეფასება მისცა ქალთა დამსახურებას სახელმწიფოში წესრიგის დაცვის საქმეში. (საკდესი).

თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!

რ. ნიქსონმა მიიღო საბჭოთა მეცნიერები

ვაშინგტონი, 4 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა გუშინ თეთრ სახლში მიიღო ამერიკელი და საბჭოთა მეცნიერები — ონკოლოგები. მათთან საუბარში პრეზიდენტმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობის გაფართოებას კიბოს დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა მეცნიერ-ონკოლოგთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ნ. ტრაპეზნიკოვი, შეერთებულ შტატებში იმყოფება ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად.

ნდოგის ვოტუმი

სანა, 4 აპრილი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის ხალხთა კონსულტაციო სახბჭომ (პარლამენტმა) ნდობის ვოტუმი გამოუცხადა ქვეყნის ახალი მთავრობადმი, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ჰასან მეჭი.

კენჭისყრის შემდეგ ჰასან მეჭიმ იმედი გამოთქვა, რომ ახალი მთავრობის თანამშრომლობა იემენის არაბთა რესპუბლიკის პარლამენტთან და რესპუბლიკურ საბჭოსთან ნაყოფიერი იქნება და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას.

იემენის არაბთა რესპუბლიკის ახალი მთავრობის მიერ ახლახან გამოქვეყნებული პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას. სოციალური და ეკონომიური განვითარების მიზნით უახლოეს სამ წელიწადში გამოიყოფა 832 მილიონი იემენური რიალი.

აპირებენ განახორციელონ ისეთი პროექტები, როგორიცაა 1800 კილომეტრი საერთო სიგრძის ახალი გზების მშენებლობა, საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქცია იემენის არაბთა რესპუბლიკაში, ახალი სამრეწველო საწარმოების შექმნა და ძველთა მოდერნიზაცია ქვეყნის დიდ ქალაქებში — სანაში, ჰედიდასა და თაიზში.

დიდი უურადღება ეთმობა სახალხო განათლების სისტემის სრულყოფასა და ეროვნული კადრების მომზადებას.

ბერძენიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა აღშფოთებით გმობს ფაშისტური ხუნტის სისხლიან ტერორს, აქტიურად უჭერს მხარს და სოლიდარობას უცხადებს ჩილელ ხალხს.

სურათზე: ქალაქ კიურენის (ლაიბიოგის მხარე) ახალგაზრდობა ხელს აწერს მოწოდებას ლუის კორვალანისა და სხვა ჩილელ პატრიოტთა დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

ფოტო-ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

ერლვევი ძმობა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავისათვის

საბჭოთა ადამიანები ემზადებიან საზეიმო ვითარებაში აღნიშნონ ღირსშესანიშნავი თარიღი მოძმე პოლონელი ხალხის ცხოვრებაში — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავი. ჩვენი მეგობრების დიდ დღესასწაულს ეძღვნება პოლონური კულტურის დღეები, რომლებიც გაიმართება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ამ დღეებთან დაკავშირებით თბილისში ჩამოვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

საქინფორმის კორესპონდენტმა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარეს, რესპუბლიკის განათლების მინისტრს თ. ვ. ლაშქარაშვილს სთხოვა ეამბნა, თუ როგორ ვითარდება ქართველი და პოლონელი ხალხების მეგობრული ურთიერთობა.

— საუკუნენახევარზე მეტია, თქვა თამარ ლაშქარაშვილმა, მჯდომარეობენ ურთიერთობა აკავშირებს ქართველ და პოლონელ ხალხებს. ეს ტრადიციული მეგობრობა გამოიწვრთო, ახალი ძალა, შინაარსი შეიძინა დიდი სამამულო ომის წლებში. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებთან ერთად ფაშისტ დამპყრობთაგან პოლონეთის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ეოველცაცურად იბრძოდნენ ქართველი მეომრებიც. ბევრი მათგანი მამაცთა სიკვდილით დაიღუპა ბრძოლის ველზე.

ხალხის ხსოვნაში არასოდეს არ წაიშლება უშიშარი საბჭოთა ასი, ავიაციის გვარდიის მაიორის, საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბედულიანის გმირობის ამბავი, რომელმაც სიცოცხლე შესწირა პოლონელი ხალხის ბედნიერებასა და თავისუფლებას. ქალაქ გდანსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სახელი გაითქვა გიორგი ლელაძის ბატალიონმა, რომელსაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ექვსი ჩვენი თანამემამულე — ე. კობერიძე, ნ. კალაძე, ი. ქანთარია, ვ. ჯანჯღავა, კ. ჯახუა, ე. ტატანაშვილი მეთაურობდნენ შენაერთებს, რომლებიც პოლონეთის განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ.

მამაცობა და ვაჟკაცობა გამოიჩინეს ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლებში პოლონეთის მიწა-წყალზე მოქმედი პარტიზანთა რაზმებისა და ქვეგანაყოფების მეთაურებმა დ. ბაქრაძემ, ვ. ძნელაძემ, გ. ჯაველიძემ, ნ. იაშვილმა ვ. მანჯავიძემ და სხვებმა.

ჩვენი მეგობრობა შეიღებებულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა სუკეთესო შვილების მიერ საერთო მტრის— ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით. ჩვენს დღეებში ახდა პოლონური პოეზიის კორიფეს ადამ მიცკევიჩის ოცნება, რომელსაც სწყუროდა მრავალტანჯული პოლონელი ხალხი ენახა განთავისუფლებულ ხალხთა მეგობრულ წრეში.

საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა დღითი დღე სულ უფრო გულთბილი ხდება და ღრმავდება. ამას ნათლად მოწმობს საქართველოს მაგალითი. ფართოვდება სამეცნიერო მოწყობილობის ურთიერთმიწოდება, მხატვრული კოლექტიების, სოლისტების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენების გაცვლა, ეწყობა შემოქმედებითი სიმპოზიუმები, კონფერენციები. მტკიცდება საქართველოსა და პოლონეთის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა პირადი კონტაქტები.

ჩვენში გამოცემულია ა. მიცკევიჩის, ჰ. სენკევიჩის, ბ. პრუსის, მ. კონოპნიცკას, გ. დანილეუსკის, ა. როდნიცკის, ი. ივაშკევიჩის, ე. ბოგუშევსკის, ი. ტეოფილისა და სხვა პოლონელ პოეტთა და პროზაიკოსთა ნაწარმოებები.

გამოქვეყნებულია პროფესორ მ. კვესელავას მონოგრაფია, რომელიც ადამ მიცკევიჩს ეძღვნება. თბილისის უნივერსიტეტის დოცენტს გ. ზედგინიძეს ეკუთვნის „პოლონურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ისტორიიდან“. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ნიკოლაშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომები „ჰენრიკ სენკევიჩი და საქართველოს საზოგადოებრიობა“, „პოლონელი რუსთაველოლოგები“.

ჩვენი პოლონელი მეგობრები თავიანთ ქვეყანაში ქართული კულტურის, ლიტერატურის დიდი პოპულარიზატორები არიან. ლეპოლიდ ლევინის რედაქციით პოლონეთში გამოვიდა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, რომელშიც დაბეჭდილია ქართული ფოლკლორის ნმუშები, ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ამირანდამარიანიდან“, აგრეთვე ჩვენი თანამედროვე პოეტების ლექსები. შარშან პოლონელმა მკითხველმა მიიღო შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი. პოემა თარგმნა ცნობილმა პოეტმა, ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა იგორ სიკირიცკიმ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ მოწყობილ „ყველაზე ლამაზი წიგნის“ კონკურსზე ამ გამოცემას სპეციალური პრემია მიენიჭა.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას მიუძღვნა თავისი მოღვაწეობა თვალსაჩინო პოეტმა ეფი ზაგურსკიმ.

მეგობრობა, ღრმა ინტერესი პოლონელი ხალხის კულტურისადმი გამოიხატა იმით, რომ თბილისის უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში შემოიღეს პოლონური ენის შემსწავლელი კურსი. აქ მასწავლებლობს დოცენტი სტანისლავ რავიჩი, წარმომობით პოლონელი, რომლისთვისაც საქართველო მეორე სამშობლო გახდა. იგი, როგორც საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოსა და პოლონეთის კულტურული კავშირურთიერთობის განმტკიცებისათვის.

პოლონეთის საზოგადოებრიობა-სათვის საქართველოს ცხოვრების, მისი კულტურის გაცნობის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე პოლონელებს, იმათაც, ვისაც ჩვენს რესპუბლიკაში უმგზაურია. იან ბრაუნმა, ამჟამად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა და აქ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ზმნის მრავალპირიანობა“, გამოაქვეყნა ქართული ხელნაწერები და მათ შორის მე-11-12 საუკუნეების ძეგლები, რომლებიც კრაკოვის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა. კაზმირ გოშკოსთან ერთად მან გამოუშვა კრებული „არარატსა და ყაზბეგს შორის“. კრებულში, კერძოდ, შეიდა ქართული ანდაზები, სულხან-საბა ორბელიანის ეგზეარკები.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მუდამ თვალსაჩინო მოვლენაა ხელოვნების პოლონელი ოსტატებისა და მხატვრული კოლექტივების გამოსვლები. თბილისში წარმატებით ჩაიარა ლოძის დიდი თეატრის გასტროლებმა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თეატრმა დადგა ოპერა „დაისი“.

დაუვიწყარია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტროლები ლოძში.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კულტურულ თანამშრომლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კულტურის დღეებს. პოლონელი ხალხის კულტურული მიღწევების ახლანდელ ჩვენებას საბჭოთა კავშირში ნამდვ

საქართველოს ეთა-ბაზაში

ლაიმსახურეს გარდამავალი დროშა

ტყიბული. (საკ. კორ.). საქართველოს პროფკავშირის, რესპუბლიკურია საბჭომ, საქართველოს აღკ ცენტრალურმა კომიტეტმა და დოსაფის ცენტრალურმა კომიტეტმა დოსაფის საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციათა შორის 1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცხრა ტყიბულის საქალაქო კომიტეტი და მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

საქალაქო ორგანიზაციამ დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, სახალხო მეურნეობისათვის ტექნიკური კადრების მომზადებისა და ახალგაზრდების ფიზიკური წრთობის გაუმჯობესებისათვის.

მაღარაძის ცენტრში

მახარაძე. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სამსართულიანი უნივერსალური მაღაზია, მას აქვს 11 სექცია, რომელსაც 100-ზე მეტი თანამშრომელი ემსახურება, მომსახურე პერსონალს 80 პროცენტი ქალებია. ახალ უნივერმაღში მოხმარებელთა კულტურული მომსახურებისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

საერთაშორისო გამოფენებზე

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმური ელექტროსაწყვრები ახლა მსოფლიოს სტანდარტების დონეზე დგას, ამიტომაც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა მათზე.

წელს ელექტრომექანიკური ქარხანამ შეუდგა ეტ-2042 ტიპის ელექტროურიკების გამოშვებას.

ახლახან საწარმომ მოსკოვში ხსრკავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაგზავნა ურიკების რამდენიმე ნიმუში, სოლო მალე ასეთივე მანქანები გაიგზავნება მილანისა და ბუდაპეშტის საერთაშორისო გამოფენებზე.

შრომითი დიდების ხეივანში

ცხაკაია. (საკ. კორ.). ქალაქ ცხაკაიაში უურადღებას იპყრობს შრომითი დიდების ხეივანი, რომელიც პარკში შეიქმნა. აქ გამოფენილია ცნობილი მეცხოველის გ. რეკვავას, მეჩაიეების გ. ქვარცხავას და მ. დემურიას, ლენინის ორდენოსანი მესიმინდის გ. გაბელიას, ხორშელი კოლმეურნის მ. ბუკიას, ხალიჩების კომბინატის ლენინის ორდენოსანი ქვეოსტატის ვ. ხუხუას, ჩაის ფაბრიკის მუშის ვ. დამენიას და სხვათა ფოტოსურათები.

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ბათუმი. (საკ. კორ.). ლ. თაბუკაშვილის პიესა „ჭრილობა" ახალგაზრდა მსახიობთა დებიუტი იყო ბათუმის სახელმწიფო თეატრში. სპექტაკლის დადგმა განახორციელა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა დ. ხინოკაძემ. სპექტაკლში მონაწილეობენ ქ. ახალბაძე, ზ. ხიხარულიძე, ზ. გოგიტაური, ხ. კუნჭულია, ნ. მეხხიძე.

სტუმრად მოსკოვის მუზიკ-ჰოლია

თბილისს ეწვია მოსკოვის სახელმწიფოს მუზიკ-ჰოლი, რომელიც უკანასკნელად ჩვენთან რვა წლის წინათ გახლდათ და ამჯერად რაღა თქმა უნდა, კულტურის სამინისტროს საკონცერტო დარბაზში მათ გამოსვლას მაყურებელი ინტერესით შეხვდა.

პროგრამის ავტორებს მ. ყვანეცკის, ო. ლევიცკის და ვ. ტერიკოვს მუზიკ-ჰოლის წარმოდგენა გადაწყვეტილი აქვთ ორმოქმედებიან სპექტაკლ კოხცერტად, რომელსაც ჰქვია **„წითელი ისარი მოსკოვში შემოდის".**

მუზიკ-ჰოლის დამდგმელი რეჟისორია რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და ლატვიის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პ. ხომსკი, მთავარი ბალეტმეისტერი — რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ს. ზვიაგინა, მთავარი დირიჟორი ვლ. რუბაშევსკი. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სტუმართა წარმოდგენის მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსეთის სფსრ დამსახურებული მოღვაწე ს. მანდელი და კოსტიუმების ავტორი ლ. მარტინსონი.

მუზიკ-ჰოლი როგორც ახლად აღორძინებული ჟანრი დღეს სულ უფრო მკვეთრი და გამოკვეთილი ხდება. ესტრადის ბალეტის, სპორტის, ცირკისა და სხვა ხელოვნების ჟანრთა სინთეზი, რაც მუზიკ-ჰოლის უეჭველ სახეს წარმოდგენს, ჩვენში საბჭოთა საესტრადო ხელოვნების დამახასიათებელი ნიშნების უპირატესობით გითარდება, რომელშიც გასართობ ელემენტს თან სდევს აზრის, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა...

მოსკოვის მუზიკ-ჰოლის პროგრამა მრავალფეროვანია, უმთავრესი და განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბალეტს, დასამახსოვრებელი და ორიგინალურია თავისი გადაწყვეტით „აღმოსავლური ნახატი", ბასიათების სიუხვეა ცეკვებში „მხიარული მუშენდავი", „მწყენდავი და კატები" და „მოელვარე ქაღები"...

უნვად არის წარმოდგენილი მუზიკ-ჰოლის პროგრამაში სასიმღერო ხელოვნება. სოლისტების ლ. პოჩეკუტოვას, ა. მეღანლინსკის, ს. მინახინის, ლ. ნევზგლიადის გამოსვლებს ინდივიდუალური ოსტატობა ახასიათებთ და მთელი პროგრამის განვითარების შემადგენელ ნაწილად გვევლინებიან.

საინტერესოა ესტრადის მსახიობთა სრულიად რუსეთის კონკურსის ლაურეატის ს. ვეტლუგინის ორიგინალური ჟანრი, გრაციის სრულყოფილებას და სპორტულ ოსტატობას ერთად გადმოსცემს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლ. პეტრიკი.

ტრადიციულად მოსკოვის მუზიკ-ჰოლის წარმოდგენაში მონაწილეობს უცხოელი სტუმარი, ამ პროგრამაში ეს არის ბულგარელი მომღერალი დანიელ ნიკოლოვი.

პროგრამის ცენტრში არიან მსახიობები ლევ შიმელოვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვასილ ალჩევსკი, ლიუბოვ პოლიშჩუკი და მათთან ერთად ვ. მაკარეკი და გ. სუხანოვი.

მოსკოველთა გასტროლების პრემიერას წარმატება ხვდა.

ზ. რცხილაძე.

• • •

სურათებზე: ზემოთ და ქვემოთ — სცენები მოსკოვის სახელმწიფო მუზიკ-ჰოლის სპექტაკლ-კონცერტიდან „წითელი ისარი მოსკოვში შემოდის"; შუაში (მარცხნიდან) — მღერის ბულგარელი სოლისტი დანიელ ნიკოლოვი; პროგრამის წამყვანები — ლიუბოვ პოლიშჩუკი და ლევ შიმელოვი; გამოდის რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვასილ ალჩევსკი.

ფოტო. ვ. ბინზბურგის ფოტო.

ელისაბედ ლიჩეფილი

92 წლის ასაკში გარდაიცვალა ძველი რევოლუციონერი, პერსონალური პენსიონერი **ელისაბედ მიხეილის ასული ჭიჭინაძე-ლეონავა.** იგი დაიბადა რაჭის მაზრის სოფელ ხოტევში. 1902–1903 წლებში ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც დაუახლოვდა ა. ჯაფარიძეს და მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში. ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის 1903 წელს.

1905 წლის აპრილში პეტერბურგიდან გადმოასახლეს ელისაბედის მეუღლე შაშმი ლეონავა, რომლის ხელმძღვანელობითაც რაჭაში დაარსდა ბოლშევიკური ორგანიზაცია. ე. ლეონავა ბოლშევიკური ორგანიზაციის ბიუროს წევრად აირჩიეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის რევოლუციაში.

1906 წელს ელისაბედი თავის მეუღლე შ. ლეონავასთან ერთად საზღვარგარეთ მიემგზავრება და ემიგრაციაში იმყოფება ქ. ვენაში.

1910 წელს ე. ლეონავამ მონაწილეობა მიიღო ქ. პეტერბურგში ლ. ტოლსტოის დაკრძალვის დროს მოწყობილ დემონსტრაციაში. 1911–1916 წლებში იგი ცხოვრობს შორის ეწევა ომის საწინააღმდეგო აგიტაციას. 1916–1917 წლებში ელისაბედი თავის მეუღლესთან ერთად ფოთის ნავსადგურის მუშებში პარტიულ მუშაობას ეწევა და მას ირჩევენ ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის ბიუროს წევრად. შემდეგში ის გადავიდა ქ. ქუთაისში, სადაც ავშრის ამყარებს პოლიტპატიმრებთან, აწვდის მათ პარტიულ ლიტერატურას და ცნობებს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ე. ლეონავა ეწევიდა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას. იგი იყო თბილისის საბჭოს წევრი და აქტიურად მონაწილეობდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

მტკიცე რევოლუციონერის, მომხიბლავი ადამიანის ე. ლეონავას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ტელევიზია

5 აპრილი

პირველი პროგრამით

10.05 ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — თქვენი თხოვნით, ბავშვებო! (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია. „მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა, 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ვანთიადი კიაჩ მშვიდია" (II სერია), 16.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.40 უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 18.40 — „მართვის აქტუალური პრობლემები" „გადაწყვეტილება მართვის პროცესში", 18.55 — მოსწავლეთათვის „მომავლის გზები", 19.30 — ფერადი ტელევიზია. „ინდოეთი გუშინ, დღეს, ხვალ". სტუდიაში ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკური მიმოხილველი ვ. დუნაევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 20.40 — „პროფესიონალი რევოლუციონერი" — ნესტორ კალანდარიშვილი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრცელია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ცხოვრებისკენ მიბრუნება" (II სერია), 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად ისტორია (IX კლასელთათვის. (მე-2 მსოფლიო ომი), 18.50 — ფიზიკა (რუსული სკოლების — IX კლასელთათვის), 19.35 — კინონარკვევი, 19.55 — განცხადებები, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები ოერიულ მექანიკაში, 21.00 — ხკკპ ისტორიაში.

ᲩᲐᲥᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

რეკლიკა

სხვისი ჭირი...

დავიწყებას მიეცა ძველი ნაჯოკურები და შეშის ღუმელები. გაჩქარა დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხანამ ბათუმში მუდმივი გაზი ჩამოალწევდეს, დახაწული არც დატარებით გაზს აქვს, აბონენტთა მომარაგება გეგეაზომიერად ხდება. მოსახლეობას დროულად აწვდიან बალონებს.

არის პატარა ბალონებიც, რომელთაც „ხამგზავრო" შეარქვეს, მათ უმთავრესად მოგარაკეები ხმარობენ და არა მარტო მოგარაკეები, არამედ იმ ახალი და ძველი ხახლების მცხოვრებლები, სადაც გაზქურები ჯერ არ გაუმართავთ. ასეთი ოჯახები ბათუმში ახეულობით არის.

წინათ ქალაქის ცენტრში იყო დამუხტული बालონების გამოსაცვლელი პუნქტები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის. გავიდა ხანი, და რატომღაც გადაწყვიტეს बालონების გამოსაცვლელი პუნქტი ნავთობგადასამუშავებელ დაბაში გადაეტანათ, რომელიც ქალაქიდან ხუთი კილომეტრით არის დაშორებული.

ამან მომხმარებელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ქალაქიდან დაბაში बალონები მიაქვთ ტაქსებით, ველოსიპედებით, ავტობუსებით, რაც უამრავ სიძნელეებსა და უზარსულობას ქმნის. წესრიგი არც დამუხტული बालონების პუნქტშია. პუნქტი ხშირად დაკეტილია, ახლომახლო არსად ფარდული არ არის, რომ ხალხი წვიმის დროს შეეფაროს. პუნქტში არა აქვთ სათადარიგო बालონების მარაგი, რომ მაშინვე შეგვცვალონ, ცარიელ बालონს დატოვებთ და დამუხტულისათვის მეორე დღეს უნდა მიაკითხოთ. ადვილი როდია ქალაქგარეთ პატარა बालონისათვის რამდენჯერმე წახვიდეთ.

მომხმარებლებმა ითხოვეს პუნქტის გახსნა ქალაქში. მაგრამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია, მაშინ დახმარებისათვის სალაქო გაზეთის რედაქციას მიმართეს. რედაქციის ჩარევის შემდეგ ვაჭრობის სამინისტრომ საქალაქო ბაბკოს აღმასკომს წერილობით მიმართა बालონების გასაცემი პუნქტის ასაშენებლად ნაკვეთი გამოეყოთ. წერილს პასუხი მოჰყვა, ამ ორ ორგანიზაციას შორის გაჩაღდა მიწერ-მოწერა, ხან მეხანძრეებს იმიზეზებდნენ, ხან სხვა რამეს.

მოკლედ, ის რაც ერთ თვეში უნდა გადაწყვეტილიყო და გაკეთებულიყო, წელიწადზე მეტია გრძელდება და ჯერ არაფერი არ გაკეთებულა. ამაზე იტყვიან „ხსვეხი ჭირი, ღობეს ჩხირიო".

ვნახოთ კიდევ რამდენი დრო დასჭირდებათ ამ ელემენტარული ხაკითხის მოსაგვარებლად.

მ. გორგილაძე.

ქ. ბათუმი.

ᲥᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲗ

მოსალოდნელია თუ არა წყალდიდობა?

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ამინდის ყოველდღიური თუ ყოველთვიური პროგნოზების მოსმენას. უკვე წინასწარ შეგვიძლია გავიგოთ, მომავალი თვის ამა თუ იმ პერიოდში როგორი ამინდია მოსალოდნელი. მაგრამ თბილისის ამინდის ბიუროს მუშაკები მარტო ამინდის პროგნოზირებას როდი ემსახურებიან, აქაური ჰიდროლოგები წინასწარ განსაზღვრავენ გაზაფხულზე სად არის მოსალოდნელი წყალდიდობა და, პირიქით, ზაფხულში წყლის ნაკლებობა გვექნება თუ არა. ყოველივე ამის დროულად გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

ახე, მაგალითად, ყველას ახსოვს ბორჯომისა და ახალციხის რაიონების ტერიტორიაზე 1968 წელს მომხდარი წყალდიდობა. თბილისის ამინდის ბიუროს ჰიდროლოგებმა მაშინ, ამის შესახებ უკვე წინასწარ, მარტის თვეში იცოდნენ და განხორციელდა კიდეკვაც საჭირო ღონისძიებანი — დატბორვის მოსალოდნელი ადგილებიდან გამოიყვანეს მოსახლეობა. წყალდიდობით გამოწვეული ზარალიც შედარებით ნაკლები იყო.

— რეზერი იქნება ზღვაგანდლილ გაზაფხული, მოსალოდნელია თუ არა წყალდიდობა? — ამ კითხვით მივმართეთ თბილისის ამინდის ბიუროს ჰიდროკოგრაფიების განყოფილების უფროსს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს შესტანნ რუხაძს.

— საერთოდ, ჩვენი განყოფილების ჰიდროლოგები, — გვითხრა მან, — განსაზღვრული ხანგრძლივობით ვიძლევით წყალდიდობის დაწყებისა და დამთავრების თარიღის პროგნოზებს, განვსაზღვრავთ, როგორი იქნება მდინარეებში წყლის ხარჯი (დონე), როგორი იქნება წყლიანობის მოცულობა საკვლევი პერიოდში (აპრილიდან სექტემბრამდე), ვიძლევით ყოველდღიურ, დეკადურ, თვიურ, კვარტალურ პროგნოზებს და სხვ.

ყოველივე ამის დასაღგენად შეკრებილით მდინარეთა აუზებში თოვლის მარაგს, რისთვისაც ეწყობა სპეციალური ექსპედიციები. ასეთი ექსპედიციები წელს ჰიდრომეტსამსახურის სამმართველომ თითქმის ყველა უმთავრესი მდინარეების აუზებში მოაწყო. ამ ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით, აგრეთვე თოვლის მარაგის სტაციონარული დაკვირვებებით, და საერთოდ ნალექების რაოდენობის გათვალისწინებით, განვსაზღვრეთ წელს, თუ როგორი წყლიანობა იქნება, აგრეთვე როგორი მდგომარეობა იქნება მოლიანად საკვლევი პერიოდშიც წყლის ხარჯისათვის.

წლევანდელი მასალების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ გაზაფხულის წყალდიდობის დაწყების წინაპერიოდში თოვლის მარაგი თითქმის ყველა სამდინარო აუზში ნორმაზე მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება, გამონაკლისს შეადგენს მდინარეების ყვირილას, ძირულას, ჩხერიმელას, მაშავერას და ხრამის აუზები, სადაც თოვლის მარაგი ნორმის ახლოს და ცოტათი მეტიც არის.

საგაზაფხულო წყალდიდობის პერიოდში მდინარეებში წყლის მაქსიმალური ხარჯი (დონეები), ასევე წყლიანობის მოცულობა მრავალი წლის საშუალო სიდიდეებთან შედარებით ნორმაზე ნაკლები იქნება, გარდა ყვირილისა და ხრამის აუზებისა. ამიტომ გვიან გაზაფხულზე და ზაფხულში უნდა ვივარაუდოთ, რომ ნორმაზე ნაკლები იქნება წყლიანობაც. ამიტომ წყალი მომჭირნეობით უნდა ეხარჯოთ. მეცნარეები უნდა მოვრწყათ საღამოსა და ღამის საათებში. რომ თავიდან ავიცილოთ ტენის აორთქლებით გამოწვეული ზედმეტი დანაკარგები.

ასეთია წლევანდელ სეზონში საქართველოს მდინარეების მოსალოდნელი საგაზაფხულო ადიდების პროგნოზები.

ლ. ᲮᲣᲒᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. საქართველოს თასის გათამაშება საიალქნო სპორტში. **ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲗ:** აეროსანთა შეჯიბრების სტარტზე.

Ი. ᲞᲘᲮᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

10 და 25 მაისი

ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ მატჩების დაწყების ვადების შესახებ.

ნანა ალექსანდრია და მარტა შული (ლვოვი) თამაშს იწყებენ 10 მაისს რიგაში, ვალენტინა კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) და ირინე ლევიტინა (ლენინგრადი) ბრძოლაში ებმებიან 25 მაისს კოსლოვოდსკში.

მატჩები 10 პარტიისაგან შედგება. თუ ამის შემდეგ გამარჯვებული არ გამოვლინდა, მსაჯები წილისყრით გამოარკვევენ, ვინ ითამაშებს ფინალში.

□

თბილისი. პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის ორი პირველობანრიგოსნის ელენე ბაშინურიძისა და ნანა იოსელიანის ცხარე მეტოქეობით აღინიშნა. 11 ტურის შემდეგ 9,5 ქულით პირველ ადგილზეა ბაშინურიძე, რომელიც ერთი ქულით უსწრებს იოსელიანს.

ტურნირის დამთავრებას ორი ტური აკლია.

ᲙᲚᲐᲕᲘ Ო. ᲙᲝᲠᲑᲣᲢᲘ

ლენინგრადში სსრ კავშირის შეარაღებული ძალების პირველობაზე კვლავ წარმატებით იასპარეზა მიუნხენის ოლიმპიადის სამეზის მედალისანმა, გროდნოელმა ოლდა კორბუტმა, რომელმაც გაიმარჯვა სავალდებულო პროგრამაში — 38,25 ქულა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სამი ტურნირის წილისყრა

ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირმა ჩაატარა სამი პოპულარული ტურნირის ნახევარფინალების წილისყრა.

ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში იასპარეზებენ: უბგრეთის „დოჟა" — გფრ-ის „ბავარია", შოტლანდიის „სელტიკი" — მადრიდის „ატლეტიკო".

თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალური წყვილები ასე გამოიყურებიან: ლაიპციგის (გდრ) „ლოკომოტივი" — ინგლისის „ტოტენჰემი", ჰოლანდიის „ფეინოორდი" — გფრ-ის „შტუტგარტი".

ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 10 და 24 აპრილს.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

□ **კალათბურთი.** ლენინგრადის „სპარტაკის" ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩში უმასპინძლა და დამაჯერება იტალიის კლუბი „ვეკსი" (ქ. სესტო-სან-ჯოვანი) — 68:58 (33:32). სპასუხო შეხვედრა გაიმართება 10 აპრილს.

□ **ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲘ.** ედინბურგში გაიმართა სპორტსაზოგადოება „ბურგსტენიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ჩვენმა მოჭიდავეებმა გ. მაჭაცარაშვილმა, ვ. გიგაურმა, ი. შახნაზაროვმა და თ. ბუჯიაშვილმა პირველი ადგილები მოიპოვეს.

□ **ᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲩᲝᲛᲑᲝᲠᲗᲝ.** ხვალ ოუგოსლავიის ქალაქ ნოვიხადში იწყება ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ 27 ქვეყნის გოგონა და 23 ქვეყნის ქალთა გუნდები. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდის ბათუმელი ხარკინ სარხოიანი. გუნდური პირველობა გაიმართება 6-9 აპრილს. ᲡᲝᲮᲣᲛᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ Ე-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲚᲘ 1966 ᲬᲚᲘᲡ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგებათა 62-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1974 წლის 30 მარტს ქალაქ ბარნაულში.

მოგების ხვდა სესხის ორმოცდახუთიგე თანრიგის ხერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100337	21*)	2.500	129824	03*)	500	165846	24*)	500
100388	04*)	500	129986	48*)	500	165929	20*)	500
101635	14*)	1.000	130211	46*)	500	165954	1—50	40
101984	13*)	500	130634	1—50	40	166026	1—50	40
102004	1—50	40	130904	1—50	100	166083	1—50	40
102551	43*)	500	132481	1—50	100	166630	1—50	40
103068	09*)	500	133222	20*)	500	167280	23*)	500
103371	44*)	500	133794	44*)	500	167927	36*)	500
104025	11*)	500	135367	33*)	500	169194	1—50	40
104078	20*)	1.000	135944	1—50	40	170061	19*)	500
104461	22*)	500	136145	09*)	1.000	170231	04*)	500
104527	37*)	1.000	138727	07*)	500	170317	28*)	500
104875	1—50	40	138801	1—50	100	171629	15*)	500
105117	1—50	40	138942	06*)	1000	171656	42*)	1.000
105300	48*)	2.500	140208	03*)	500	172095	39*)	500
105375	38*)	500	142673	32*)	500	172167	02*)	500
105628	1—50	100	142816	1—50	40	173063	19*)	500
105751	01*)	1.000	144594	02*)	500	173323	18*)	500
106356	1—50	40	144698	09*)	1000	173603	07*)	500
106518	20*)	500	146786	45*)	500	173746	13*)	500
107519	1—50	40	147093	41*)	500	174157	07*)	500
107796	1—50	40	148030	08*)	500	174737	1—50	40
108426	35*)	500	148473	43*)	500	175244	46*)	1.000
108427	42*)	500	148805	19*)	500	175344	05*)	500
109901	28*)	1.000	149170	1—50	40	175568	1—50	40
110693	1—50	100	149335	27*)	500	176083	17*)	500
111884	05*)	1.000	149993	18*)	500	176181	24*)	2.500
113492	07*)	500	151277	41*)	500	176829	50*)	500
113871	1—50	40	151294	12*)	500	176910	31*)	500
113878	28*)	500	151304	46*)	500	177729	1—50	100
114286	1—50	40	152224	1—50	40	177875	16*)	1.000
115184	09*)	5.000	152315	27*)	500	177883	18*)	500
115575	42*)	500	153053	1—50	100	178555	41*)	500
115596	19*)	500	153342	1—50	40	179123	44*)	500
115914	05*)	5.000	153400	44*)	500	179827	1—50	40
116462	41*)	500	153767	21*)	500	179866	07*)	2.500
116695	20*)	1.000	153909	27*)	500	180594	19*)	1.000
117942	19*)	500	153940	45*)	500	180942	28*)	500
118396	33*)	1.000	154208	12*)	500	181552	1—50	100
118884	50*)	2.500	154317	1—50	40	181569	46*)	500
119480	15*)	500	154711	20*)	500	181861	39*)	500
119705	47*)	500	155694	38*)	500	181864	47*)	500
119837	1—50	40	155860	40*)	500	181995	38*)	500
120603	36*)	500	156469	1—50	100	182505	14*)	1.000
120877	1—50	40	157178	1—50	40	183869	46*)	500
121225	46*)	500	157472	12*)	500	184981	39*)	1.000
121773	1—50	40	157815	07*)	500	185040	33*)	500
122937	24*)	500	158616	1—50	100	185054	24*)	500
123234	37*)	500	158621	25*)	500	186069	1—50	40
123269	34*)	500	159329	1—50	40	186669	29*)	500
124291	31*)	500	159554	48*)	500	188854	1—50	40
124840	1—50	40	160100	1—50	40	189331	41*)	500
125834	31*)	500	160252	50*)	500	190698	38*)	500
125885	24*)	500	160424	42*)	500	191041	1—50	100
126406	13*)	500	162293	19*)	500	191863	32*)	500
126971	1—50	100	162466	44*)	500	193720	1—50	40
127810	34*)	1.000	162670	29*)	1.000	195252	43*)	500
128102	42*)	500	163154	16*)	1.000	196155	38*)	500
128731	1—50	40	163207	17*)	500	196715	1—50	40
129272	1—50	40	163265	1—50	40	197656	1—50	100
129485	1—50	100	164066	04*)	500	197966	24*)	500
129551	06*)	500	164972	17*)	500	198544	1—50	100
			165180	46*)	500	199464	14*)	500

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი ხალხი აღებენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ალტაის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ზ. ᲒᲝᲚᲣᲒᲐᲙᲝᲕᲘ.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ა. Ჯ. ᲔᲚᲘᲜᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

ᲖᲣᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). მთიანი სოფელია რკვია. აქ ცხოვრობს რკინგზელი გ. მუმლაძე. იგი ამავე დროს გამოცდილი მონადირეა. ორი ათეული წელია, რაც გ. მუმლაძე ხშირად წარმატებით ნადირობს და მის ანგარიშზეა ცხრასაზე მეტი მტაცებელი.

მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გ. მუმლაძემ ხაფანგით დაიჭირა 148 მელა, მაჩვი და კვერნა.

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ურავის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მუშას, მონადირე ებეშიძეს არაერთხელ გაუბამს მგელი მახეში, მაგრამ ამჯერად სახლში ხელმოცარული დაბრუნდა. მოხდა ის, რასაც არ მოელოდა — მახისთვალის ირგვლივ მინდორი ნამარ ადგილს წაგავდა — მთლიანად გასისხლიანებული და გადაჯეგილი იყო. იქვე ცალცალკე ეყარა ნადირის თავფეხი და გამხრული ძვლები. განსაცდელში ჩავარდნილი ძხეცი თურმე თავისსავე თანამოძმეებს ერთიანად დაუგლეჯიათ...

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს, 5 აპრილს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სამხრეთ რაიონებში მცირე წვიმა, რაიონის ხეობაში იქროლებს წამში 12-18 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 10-15, მთაში 4-9 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ იქნება მოღრუბლული ამინდი, მცირე ნალექი და ნისლი, გორ